შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი“

AUDIT "LAZIKA AUDIT" LLC

ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ კორპ. №13 ბინა №116; ქ. ზუგდიდი თბილისის ქ. №43; ტელ.: 599 951074; 595 163728
Tbilisi, Gldani 3 m/r, building 13, Apartment 116; Zugdidi, 43 Tbilisi Str. Tel.: 599 951074; 595 163728

02/184

9.10.2015

აუდიტორული დასკვნა

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.ჯიხაშკარის #1 საჯარო სკოლის ქონების - „საქვაბე“ აუდიტორული შეფასების შესახებ.

თანახმად 2015 წლის 8 ოქტომბერის #13 ხელშეკრულებისა, შპს აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტი“–ს , რომლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გლდანი III მკ/რ, კორპ.13 , ბინა 116, საიდენტიფიკაციო კოდი 400032674, მთავარი აუდიტორის:

1. ზარანდია მამუკა (პ/ნ 19001059180) – სერთიფიკატი ზ #6/150, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 5 მარტი 2012 წელი.

მიერ ჩატარდა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.ჯიხაშკარის #1 საჯარო სკოლის ქონების -„საქვაბე“ აუდიტორული შეფასება.

აღნიშნული ქონების შეფასება მოვახდინეთ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების(მე–8 გამოცემის №3 „შეფასების ანგარიში“ სტანდარტის, შეფასების საერთაშორისო გამოყენებების № 3 „სახელმწიფო სექტორის აქტივების შეფასება ფინანსური ანგარიშგებისათვის“,სახელმძღვანელო №1“უძრავი ქონების შეფასება“ და შემფასებლის ქცევის კოდექსის იმ ქვეთავების ჩათვლით როგორიცაა: ეთიკა, კომპენტენცია,ინფორმაციის გახსნა (გადმოცემა), ანგარიშგება.) საფუძველზე.

„საქვაბე“ შედგება: 1. შენობის 2. საქვაბე დანადგარის 3. წყლის ავზისაგან (რეზერვუარი).

ჩვენ ვიზუალურად დავათვალიერეთ : შენობა, საქვაბე დანადგარი და წყლის ავზი.(რეზერვუარი)

შენობა - არის ერთსართულიანი, 39კვ.მ. ფართის კაპიტალური ნაგებობა, კედლები აგურით ნაშენები, სახურავი რკინა-ბეტონის კონსტრუქციით(ცინკარი) გადახურული. ათეული წლებია რა სარგებლობაში არ არის, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად ძლიერ დაზიანებულია, ავარიულ მდგომარეობაშია, წარმოადგენს მოსწავლეებისათვის საფრთხის შემცველ ნაგებობას, მიზანშეწონილია მისი დემონტაჟი.შესაძლებელია მიღებული იქნას მეორადი გამოყენების სამშენებლო მასალები:1.ცინკარი –1ცალი. საბაზრო ღირებულება 80 ლარი. 2.აგური 150 ცალი.საბაზრო ღირებულება 30 ლარი.

საქვაბე დანადგარი - განთავსებულია შენობის შიგნით, კოროზორებულია,არ გააჩნია შემადგენელი ნაწილები. ექსპულატაციისათვის უვარგისია. წარმოადგენს შავი ლითონის ჯართს, სავარაუდოდ 0,5 ტონა - საბაზრო ღირებულება 100 ლარი.

წყლის ავზი (რეზერვუარი) – 5ტ.ტევადობისაა, განთავსებულია შენობის გარეთ ლითონის (კუთხოვანა) კონსტრუქციაზე 4მ სიმაღლეზე, არის კოროზირებული. ექსპულატაციისათვის უვარგისი. წარმოადგენს შავი ლითონის ჯართს, სავარაუდოდ 0,8 ტონა - საბაზრო ღირებულება 160 ლარი.

შ.პ.ს. აუდიტორული ფირმა "ლაზიკა აუდიტის" დირექტორი,

სერთიფიცირებული აუდიტორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი /მ.ზარანდია/